კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 ივლისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 165 (14161)

სოციალისტური ქვეყნების პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრა

მიმდინარე წლის 14 და 15 ივლისს ვარშავაში გაიმართა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტოდორ ჟივკოვი;** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **სტანკო ტოდოროვი;** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბორის ველჩევი;** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **პენჩო კუბადინსკი.**

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **იანოშ კადარი;** უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარე **ენე ფოკი.**

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი;** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვილი შტოფი;** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **გერმან აქსენი.**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვლადისლავ გომულკა;** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **მარიან სპიხალსკი;** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **იუზეფ ცირანკევიჩი;** პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ზენონ კლიშკო;**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი;** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი;** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ე. შელესტი;** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი.**

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც მათი საერთო ინტერესების საგანს წარმოადგენს და გამოხატეს მტკიცე მისწრაფება, რომ კვლავაც ყოველმხრივ განავითარონ ძმური ურთიერთობა და გაამტკიცონ სოციალისტური სისტემა, მისი ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

შეხვედრების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საერთაშორისო მდგომარეობის, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის პრობლემებზე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ახლა, როცა კვლავ გრძელდება იმპერიალისტური აგრესიის აქტები, განსაკუთრებით ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში, საჭიროა სოციალისტური ქვეყნებისა და მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირება. მოძმე ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აგრესიული იმპერიალისტური ძალების აქტივიზაციას, რომლებიც ისწრაფვიან დივერსიების გზით შეარყიონ სოციალისტური წყობილება ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე შეასუსტონ სოციალისტური სახელმწიფოების იდეური და სამოკავშირეო ერთიანობა.

შეხვედრის მონაწილეებმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი ქვეყნების მდგომარეობისა და ჩეხოსლოვაკიაში მოვლენათა განვითარების შესახებ და ერთობლივი წერილი გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

სოციალისტური სახელმწიფოების პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელთა ვარშავის შეხვედრა მიმდინარეობდა გულწრფელობის, სრული ერთსულოვნებისა და მეგობრობის ძმურ ატმოსფეროში.

ᲞᲣᲠᲡ ᲛᲙᲘᲐᲜ ᲗᲔᲚᲐᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ალაზნის ველზე მძიმედ დაბარეს თავი ოქროსფერმა თავთავებმა. ხუთი ათასამდე ჰექტარზე გადაჭიმული თელაველთა უანები, რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორმა რ. სუმბაძემ 4 სამუშაო დღეში აიღო 42 ჰექტარი ქერის ნათესი და თვითეულ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა. მაღალი მოსავალი იზეიმეს ლალისყურის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმისა და სანიორეს კოლმეურნეობის მემინდვრეებმაც. ახლა ჯერი მიდგა ალაზანს გამოღმა მდებარე ხოდაბუნებზე.

ნაფარეულებთან კოლდოლის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე თ. ახალმოსულიშვილი) ოვითმავალი კომბაინის საჭეს ნ. ჩიდრაშვილი მისჯდომოდა. მას კვალში მისდევდა ვ. ოსაძის აგრეგატი. შინდის კურკის სიმსხო მარცვალი ღვარად მოდიოდა ბუნკერიდან თვითსაცლელის ტელეფერში. აქ ჰექტარზე მიიღეს 26,5 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად 11 ცენტნერისა.

კურდღელაურის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. გიორგანაშვილი) შორს წასული აგრეგატები მართლაც ხომალდებივით მიცურავდნენ „უფხო-1“-ის ზღვაში. საყვირის ხმა ზედიზედ გაისმა ი. მეხტვირიშვილისა და ს. ჯეირანაშვილის „ხომალდებიდან“. ორი თვითსაცლელი მიადგა ბუნკერების საჭაჩებს, და წამოვიდა მარცვალი. 16-17 ცენტნერი ჰექტარზე! ცხადია. ცუდი არც ეს შედეგი, მაგრამ, როგორც გიორგანაშვილმა აგვიხსნა, ეს ყველაზე ნაკლებმოსავლიანი ნაკვეთები ყოფილა.

მზე გადაიწვერა, კურდღელაურის საშრობ კალოსთან რომ მივედით. მთელი დატვირთვით მუშაობდნენ ელექტროფიცირებული კალოს მარცვალსაწმენდი აგრეგატები.

ჯ. რჩეულიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲗᲔᲠᲛᲘᲗᲘ ᲜᲘᲠᲑᲐᲗᲔᲑᲘ

მახარაძის რაიონის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის წლიური გეგმა, — აცნობეს **„კომუნისტის“** რედაქციას პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ალ. თოიძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **აკ. გობრონიძემ,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **კ. სამსონიამ.** მახარაძელთა ვალდებულება იყო სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 2.244 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, ფაქტიურად მიჰყიდეს 2.420 ცენტნერი, საშუალოდ თვითეული კოლოფი თესლიდან მიღებულია 50 კილოგრამი პარკი.

მახარაძელმა მეაბრეშუმეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიჰყიდონ 20 ტონა აბრეშუმის პარკი.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

Გ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაარსების ოცდაათ წელთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. კოტიანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბეგაშვილი

თბილისი, 1968 წლის 16 ივლისი.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პერსპექტიული (1980 წლამდე) განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავებას მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც 15 ივლისს გაიხსნა მოსკოვში.

სესიაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა პ. პ. ლობანოვმა. მან აღნიშნა, რომ ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს უკანასკნელ წლებში, შემომრუნების ეტაპი გახდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებია აღმავლობაში, ხელი შეუწყო მისი ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლებას და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სესიაზე თანამოხსენებანი გააკეთეს აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ი. ი. სინიაგინმა, ნ. ფ. როსტოცკევა, ბ. ნ. ლისტოვმა, ა. ნ. ასკოჩენსკიმ, ი. ს. მელეხოვმა, გ. მ. ლოზამ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ა. კარლოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. გ. პისინი, სსრ კავშირის მინისტრები ე. ე. ალექსეევსკი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ი. ფ. სინიცინი, სრულიად საკავშირო ჯაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ თავმჯდომარე ა. ა. ეფეზსკი, რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლ. ი. ფლორენტიევი, საკავშირო ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და ცენტრალური უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები. (საკლესი).

ᲩᲐᲠᲮᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲣᲡᲬᲠᲐᲤᲔᲡᲐᲓ ᲐᲕᲘᲗᲕᲘᲡᲝᲗ ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲜᲘ

ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივი აქტიურად უჭერს მხარს დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის ამ ინიციატივას, რომ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯაბრება მოქმედი და ახლად ასამშენებელი აგრეგატების საპროექტო სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებისათვის.

ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ისწრაფვიან რა ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, თბილისის ჩარხმშენებელი-კიროველები კისრულობენ შემდეგ ძირითად ვალდებულებებს ჩვენი ქვეყნის შავ მეტალურგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული თავიანთი ქარხნის საპროექტო სიმძლავრეთა უსწრაფესად ათვისებისათვის:

1. ამაღლონ „163“ მოდელის სახარატო ხრახნსაჭრელი ჩარხების გამოშვების დარგში ნაკადური წარმოების საშუალო წლიური სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 1968 წელს წინა წელთან შედარებით და აიყვანონ იგი ერთეულამდე, ამასთან შეინარჩუნონ მიღწეული კოეფიციენტი მომდევნო წლებში.

2. სპეციალური ჩარხების წარმოების დარგში საშუალო წლიური სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 1968 წელს გაადიდონ 0,16-ით 1967 წელთან შედარებით და 1970 წლისათვის აიყვანონ იგი 0,9-მდე.

საშუალოწლიურ სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტის გადიდების ვალდებულებათა წარმატებით შესრულება უზრუნველყონ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელების გზით:

1. 1969 წელს დაამთავრონ საინსტრუმენტო საამქროს რეკონსტრუქცია, აიყვანონ ტექნოლოგიური აღჭურვილობის გამოშვება ამ საამქროს საპროექტო სიმძლავრემდე და 20 პროცენტით გაადიდონ ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის გამოშვება.

2. გააფართოონ ძირითად წარმოებაში უნივერსალურ-საწყობ სამარჯვთა გამოყენება და აიყვანონ იგი 1970 წლისათვის 1000 ანაწყობამდე წელიწადში.

3. № 15 მექანიკურ საამქროში აითვისონ 5 სახარატო-ხრახნსაჭრელი ნახევრადავტომატის სიმძლავრენი.

4. 1968-1969 წლებში აითვისონ ვერტიკალურ-მრავალშპინდელიანი სახარატო, ნახევრადავტომატის სიმძლავრენი, წელიწადში ორორი ჩარხი.

5. 1969 წელს მთლიანად დაამთავრონ სამჭედლო საამქროს რეკონსტრუქცია, აიყვანონ მისი სიმძლავრე 1970 წლისათვის ნაჭედისა და ნატვიფრის გამოშვების დარგში საპროექტო სიმძლავრემდე.

6. სამუშაო დროის უნაყოფოდ ხარჯვის შემცირების, მეჩარხეთა კადრების დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გზით 30 პროცენტით აამაღლონ მოწყობილობის მუშაობის ცვლადობის კოეფიციენტი 1969-1970 წლებში.

7. 1968-1969 წლებში განახორციელონ ნაკადური წარმოების ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ამასთან მოაწყონ კორპუსის დეტალების საფინიშო დამუშავების განყოფილება № 1 კორპუსში.

კისრულობს რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი გამოთქვამს რწმენას, რომ ციმბირელ მეტალურგთა თაოსნობას საპროექტო საწარმოო სიმძლავრეთა ვადამდე ათვისების დარგში ფართოდ დაუჭერენ მხარს საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ

ᲓᲐᲕᲙᲚᲘᲝᲗ ᲣᲐᲛᲘᲜᲓᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲔᲑᲘ

ᲐᲛ დღეებში ზუგდიდში გაიმართა მეჩაიეთა ზონალური თათბირი, რომელიც მიეძღვნა **ზუგდიდის, წალენჯიხის, ვანგეკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ხობის** და **აბაშის** რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1968 წლის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების მიმდინარეობის. თათბირს ესწრებოდნენ პარტიის რაიკომების მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სამმართველოების უფროსები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების დირექტორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **მ. ღვინჯილია.**

სიტყვებით გამოვიდნენ ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარე **ა. კუტალია** წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **ა. კვარაცხელია,** გეგეჭკორის რაიონის დიდ ჭყონის მეორე ჩაის ფაბრიკის დირექტორი **ხ. ჭობულაძე,** ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **შ. ლემონჯავა,** ცხაკაიას რაიონის ზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. კუპრეიშვილი,** ზუგდიდის რაიონის ზეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ა. როგავა,** პარტიის წალენჯიხის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ზუგდიდის რაიონების რაიკომების პირველი მდივნები **ვ. კვარაცხელია, ნ. ჩხოლარია, დ. ჯიჯელავა, ნ. შონია, ბ. კვარაცხელია,** ხობის და აბაშის რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები **ვ. ბერაია** და **ა. ნადარეიშვილი.**

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა **ვ. ქობულიამ** და საქართველოს სსრ კავშირების მრეწველობის მინისტრმა **ვ. ვადაჭკორიამ.**

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოთქვეს მზადყოფნა დაძლიონ უმინდობით გამოწვეული სიძნელეები და უზრუნველყონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა, მიმდინარე წლის დავალება წარმატებით შეასრულონ.

თათბირის მუშაობა შეჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **შ. ი. ჭანუყვაძემ.**

მეჩაიეთა ზონალური თათბირი გაიმართა აგრეთვე იმერეთში.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ �გᲔ�გᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ 1968 ᲬᲚᲘᲡ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲢᲝᲜᲝᲒᲠᲐᲗᲘᲗ)

	გეგმა		შესრულება		გეგმის შესრულების პროცენტი	
	წლიურის	ივლისისა	სეზონის დაწყებიდან ივლისისა		წლიურის	ივლისისა
აფხაზეთის ასსრ	36835	8103	18290	3568	49,7	44,0
გალის	19935	4386	10663	2026	53,5	46,2
ოჩამჩირის	12066	2655	5164	1083	42,8	40,8
გუდაუთის	3350	737	1769	341	52,8	46,3
გულრიფშის	1175	258	557	93	47,4	36,0
სოხუმის	809	67	187	20	44,3	29,9
აბაშის ასსრ	33030	7266	18656	2769	56,5	38,1
ქობულეთის	23871	5251	12793	1885	53,6	35,9
ბათუმის	2659	1905	5644	844	65,2	44,3
ქედის	500	110	219	39	43,8	35,5
მახარაძის	39230	8630	17093	2504	43,6	29,0
ზუგდიდის	27195	5982	13534	2880	49,8	48,1
წალენჯიხის	12600	2772	6733	1327	53,4	47,9
ლანჩხუთის	10900	2398	5423	1021	49,8	42,6
გეგეჭკორის	9950	2189	4457	848	44,8	38,7
ჩხოროწყუს	8750	1925	4069	763	46,5	39,6
ჩოხატაურის	6100	1342	2430	433	39,8	32,3
ტყიბულის საქალაქო საბჭო	4680	1029	1565	481	33,4	46,7
წყალტუბოს	4670	1027	2551	527	54,6	51,3
წულუკიძის	4850	1067	2098	516	43,3	48,4
ცხაკაიას	4345	955	2015	350	46,4	36,6
ხობის	4050	891	1622	404	40,0	45,3
სამტრედიის	1320	290	553	104	41,9	35,9
აბაშის	490	106	224	47	45,7	44,3
თერჯოლის	400	88	379	71	94,8	80,7
ბიათურის საქალაქო საბჭო	380	86	245	27	64,5	32,5
ვანის	180	39	79	11	43,9	28,2
ზესტაფონის	45	11	31	4	68,9	36,4
ს უ ლ	210000	46193	102047	18650	48,6	40,4
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	40419	8891	17820	3155	44,1	35,5
1967 წლის 15 ივლისისათვის იყო	200000	44000	135746	26893	67,9	61,1

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ᲤᲔᲜᲓᲔᲑᲐ ᲩᲘᲠᲥᲘᲡ ᲰᲔᲡᲘ



დალესტნის ბსსრ: მდინარე სულაკზე შენდება ჩირქეის ჰესი. თაღოვანი კაშხალი აღმართება 236 მეტრ სიმაღლეზე. თვითეული მილიონი კილოვატის სიმძლავრის ოთხი აგრეგატი იმდენ ელექტროენერგიას გამომუშავებს, რომ დააკმაყოფილებს არა მარტო დაღესტნის, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკის მოთხოვნილებას. იქ, სადაც ახლა მთიანი აული ჩირქეია, გაჩნდება წყალსაცავი. მისი წყლები 232 ათას ჰექტარ მინდვრებს, ბაღებსა და ვენახებს მოარწყავს. ჩირქეის ჰესი უკვე მიმდინარე ხუთწლედში მისცემს სამშობლოს სამრეწველო დენს.

სურათზე: ჰესის მშენებლობის ერთ-ერთ უბანზე.

ფოტო **რ. დიკიხა.** (საკლესის ფოტოქრონიკა).

მკითხველთა თაობების ქვეყანა

1968 წლის 17 ივლისს 50 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც საბჭოთა მთავრობამ მიიღო დეკრეტი „რუსეთის სოციალისტური შედარაციული საბჭოთა რესპუბლიკის ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიის დაცვის შესახებ“. საკდესის კორესპონდენტმა ვასილევსკაიამ სთხოვა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკათა მთავარი ინსპექციის უფროსს ნ. თ. გავრილოვს ეამოეთქვა თავისი აზრი ამ მოვლენის გამო.

საბიბლიოთეკო საქმე ჩვენს სახელმწიფოში საბჭოთა კულტურის დიდმნიშვნელოვანი უბანია, აღნიშნა ნ. ალანდრე თვალდორეს-ძემ.

ლენინი მემკვიდრეობა მიიღო მეფის რუსეთისაგან ანალფაბეტურ საბჭოთა სახელმწიფომ. 1913 წელს რუსეთში სულ იყო 76 ათასი ბიბლიოთეკა, აქედან მეტი ნაწილი სამრევლო სკოლებს ეკუთვნოდათ. სულ 9 მილიონი წიგნი — ასეთი იყო 14 ათასი საჯარო ბიბლიოთეკის ფონდი, ხოლო მკითხველთა რიცხვი ორ მილიონს არ აღწევდა. უდიდესი ბიბლიოთეკებით — საჯაროთი, მეცნიერებათა აკადემიის, რუმიანცევის ბიბლიოთეკებით მეტად გიწერო წრე საოგებლობდა.

სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ლენინმერ ილიას-ძე მოითხოვდა, რომ განათლების სახალხო კომისარიატს რეგულარულად გამოქვეყნებინა მასალები მასებში წიგნის გავრცელების, ბიბლიოთეკებისა და მკითხველთა რიცხვის ზადიდების შესახებ.

მარტო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ნუსხა ცხადყოფს, როგორ ხორციელდებოდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ლენინური პროგრამა: „სოფლის ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო პოპულარული ლიტერატურის შესახებ“ (1925), „მასობრივი მკითხველის წიგნით მომსახურების შესახებ“ (1928), „ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ (1929), „ოვითგანათლების საქმის გაუმჯობესების შესახებ“ (1933).

დიდი სამამულო ომის წლებში ნოისპო ათასობით ბიბლიოთეკის შენობა, დაიღუპა ათეულ მილიონობით წიგნი. ეს დანაკლისი ანაზღაურებული იყო უკვე 1950 წელს. ომისშემდგომ პერიოდში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დადგენილებას „ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დოკუმენტმა დიდი როლი შეასრულა ბიბლიოთეკების მუშაობის იდეურ-პოლიტიკური შინაარსის გაუმჯობესებაში, ეროვნის ფორმისა და მეთოდის სრულყოფაში, მილიონობით ახალი მკითხველის მოზიდვაში. ბიბლიოთეკების ქსელი ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდებოდა და 370 ათასს მიაღწია, აქედან 124 ათასია მასობრივი, 51 ათასი — მეცნიერული და ტექნიკური, ხოლო 190 ათასი — სასკოლო, საბავშვო და სხვა. მათი საერთო წიგნის ფონდი შეადგენს 2,5 მილიარდ ტომს.

ნამდვილი სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც მომსახურებას უწევენ მილიონობით მკითხველს, გახდნენ სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, მ. ე. საltიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა და სხვ.

ნ. თ. გავრილოვმა მოიყვანა საინტერესო ციფრები. ჩვენს ქვეყანაში 110 მილიონი მკითხველია. ყოველწლიურად მათ ბიბლიოთეკებიდან გაჰქვთ ორ მილიარდზე მეტი წიგნი. თოთქმის 200 მილიონი მანეთი იხარჯება წელიწადში ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით დაკომპლექტებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნულ ბიბლიოთეკართა კადრების მომზადების პრობლემა. უკვე 1918 წელს პეტროგრადში შეიქმნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი — სკოლის გარეშე განათლების ინსტიტუტი. ამჟამად ბიბლიოთეკარებს ამზადებს 19 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის მოსკოვის, ლენინგრადისა და ხარკოვის კულტურის ინსტიტუტები. გარდა ამისა ჩვენს ქვეყანაში მუშაობს 103 საშუალო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებში სწავლობს 50 ათასი კაცი, ხოლო სპეციალისტთა ყოველწლიურმა გამოშვებამ ათი ათასს მიაღწია.

სწორედ ამიტომ ჩვენს ქვეყანას მკითხველთა თაობების ქვეყანას უწოდებენ.

აპარატები და ხელსაწყოები სოფლის მეურნეობისათვის

გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე განიხილეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ტექნიკურ საშუალებათა დამუშავების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხი.

გაერთიანებულმა სხდომამ გადაწყვიტა ფართოდ დანერგოს შემოქმედებითი თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის საჭიროებათა ხელსაწყოებისა და აპარატების საილუმი ნიმუშებს შემუშავების, შექმნისა და დამზადების მიზნით. თეორიულ საფუძვლებს დაამუშავებს და ხელსაწყოებსა და აპარატებს მეცნიერულ-ექსპერიმენტულად დაასაბუთებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო — დაამუშავებს ტექნიკურ დოკუმენტაციასა და დაამზადებს ნიმუშებს.

თბილისის ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს დაამზადოს რამდენიმე ხელსაწყოსა და აპარატის ნიმუში. მათ შორის რძის წვალადობის გასაზომი ხელსაწყო, მოწყობილობა საწველელ ჰიქებში ვაკუუმის ავტომატური გადართვისათვის, ბრტყელი ინდუქციური ადამწოდი ცვლადი მაგნიტური ველების გაზომვისათვის და ბგერათმიმღები თესლის თესლისწინა დამუშავების დროს სითხეში აკუსტიკური რხევის ინტენსიურობის გაზომვისათვის.

წლის ბოლოს შეჯამდება მეცნიერთა და კონსტრუქტორთა შემოქმედებითი თანამეგობრობის შედეგები, შემუშავდება 1969 წლისათვის ერთობლივი მუშაობის გეგმა. (საკდესი).

მეცნიერულ - ტექნიკური და კულტურული გაცვლა

15 ივლისს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და სხვა დარგებში გაცვლის შესახებ 1968-1969 წლებში.

შეთანხმება ითვალისწინებს გაცვლას მეცნიერების, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის, განათლების, საშუმსრულებლო ხელოვნების, გამოცემების, გამოფენების, კინოს, რადიოსა და ტელევიზიის, კულტურისა და პროფესიული საქმიანობის, აგრეთვე სპორტის დარგში. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები

მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვეერით მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიან ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გენერალური მდივანი ივან ნემეცი, კავშირის სლოვაკიის კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გენერალური მდივანი კაროლ შავეული და კავშირის ჩეხიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ფრანტიშეკ მალერეკი.

16 ივლისს დელეგაციის წევრები შეხვდნენ მეგობრობის საზოგადოებათა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ნ. ა. პანკოვს. (საკდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პატიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. შალვა ალექსანდრეს-ძე სალარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ქოზლინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე

თბილისი,

1968 წლის 16 ივლისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ბ. ხავთასის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ძალთულ საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდათხუთმეტ წელთან დაკავშირებით ფოთის მუსიკალური სკოლის დირექტორი ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე ხავთასი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გ. ქოზლინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ზ. კვაჭაძე

თბილისი,

1968 წლის 16 ივლისი.

მსოფლიოს დეპეშათა საგენტოები იუწყებიან

მუზეუმი პორონინოში

ვარშავა, 16 ივლისი. (საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი გვატყობინებს: პორონინოს ვ. ი. ლენინის მუზეუმში სხვადასხვა ენაზე ისმის ლაპარაკი. აქ ჩამოდიან უცხოელ ტურისტთა ჯგუფები და დელეგაციები სახალხო პოლონეთის ყველა კუთხიდან. ზარშან მუზეუმში იყო ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 180 ათასი მოქალაქე. ხშირი სტუმრები არიან აქ აგრეთვე ვიეტნამელები, ფრანგები, იტალიელები, ინგლისელები, სკანდინავიის ქვეყნების მცხოვრებლები.

როგორც საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, ახლა პორონინოს ვ. ი. ლენინის მუზეუმი ახალ ექსპოზიციას ამზადებს 1912-1914 წლებში პოლონეთში საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ყოფნის შესახებ. მშრომელები ნახავენ ფილმს ილიჩზე, აგრეთვე მოისმენენ ადგილობრივ მცხოვრებთა მოგონებებს ლენინთან შეხვედრების შესახებ, რომლებიც ჩაწერილია მაგნიტოფონის ფირზე. მუზეუმის თითოეულ დამთვალიერებელს შეუძლია მიიღოს ხამახსოვრო ნიშანი ვ. ი. ლენინის გამოსახულებით.

ატომური აფეთქება

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გუშინ საფრანგეთმა მოაწყო ატომური მოწყობილობის ექსპერიმენტული აფეთქება. ეს მეორე აფეთქებაა ახლანდელი გამოცდების სერიაში, რომელიც წყნარი ოკეანის მურუროის პოლიგონზე ხორციელდება.

საფრანგეთის შეიარაღებულ ძალების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აფეთქებული ატომური მოწყობილობა საშუალო სიმძლავრისა იყო.

საერთაშორისო ხელოვნება

ერთობისა და შეკავშირების ნიშნით

ვარშავა, 16 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის დღევანდელი გაზეთების პირველი გვერდები იწყებენ ცნობით, რომ ვარშავაში ერთმანეთს შეხვდნენ სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელები. გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“ სათაურში ხაზს უსვამს: „ერთობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებით“. პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს ორგანო „გლოს პრაცი“ ინფორმაციას სათაურად უკეთებს წითელი შრიფტით აწყობილ სტატიებს: „ერთობა და შეკავშირება დროის მოთხოვნაა“.

სოფია, 16 ივლისი. (საკდესი). აქვეყნებს რა კომუნიკეს სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრის შესახებ, ბულგარეთის პრესა ხაზს უსვამს, რომ შეხვედრამ ჩაიარა გულწრფელობის, სრული ერთსულოვნებისა და მეგობრობის ძმურ ატმოსფეროში და რომ მას დიდი მნიშვნელობა ექნება სოციალისტური სისტემის, მისი ერთობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის.

ბრაკტიკა გვიჩვენებს, წერს „ზემლედელსკი ზნამე“, რომ ასეთ შეხვედრებსა და კონსულტაციებს ნაყოფი და გარკვეული მიზანი აქვთ: განავითარონ სოციალისტური ქვეყნების ძმური ერთობა, მათი შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ამ მხრივ გარშავის შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი კვლავ ნაყოფიერ გავლენას მოახდენს საერთო მისწრაფებაზე განამტკიცონ სოციალისტური სისტემა, გააძლიერონ და გააქტიურონ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალები, ნორმალურად განავითარონ საერთაშორისო ურთიერთობა.

დიდი ბედნიერებაა ჩვენთვის, სოციალიზმის იდეისა და საქმისათვის, განაგრძობს გაზეთი, რომ ჩვენ მეგობრობა და თანამშრომლობა გვაკავშირებს მუშათა და გლეხთა პირველ სახელმწიფოსთან. საბჭოთა კავშირი ჩვენთვის მტკიცე დასაყრდენი და შესანშნავი მაგალითია. ასრულებენ რა თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას, ამ ქვეყანასა და მის ხალხს ეძირველეს ამოცანად მიიჩნიათ კიდევ უფრო განამტკიცონ და გააღრმავონ სოციალისტური თანამეგობრობის ერთობა და შეკავშირება, გააძლიერონ მომქმე ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიური და თავდაცვითი თანამშრომლობა.

ეს არის ჩვენი ძალის, ჩვენი ძლიერების საფუძველი.

ბულგარელი ხალხი, ხაზს უსვამს გაზეთი, სულით და გულით მიესალმება ვარშავის შეხვედრას, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი შედეგები განამტკიცებს ჩვენს მეგობრობასა და ერთობას, ჩვენს მრავალმხრივ თანამშრომლობას, გააძლიერებს მთელი პროგრესული ძალების შეკავშირებას მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმის ახალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

ბუდაპეშტი, 16 ივლისი. (საკდესი). კომუნიკე სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების ვარშავის შეხვედრის შესახებ დღეს ბუდაპეშტის ყველა გაზეთში მოთავსებულია პირველ გვერდზე.

„მადიარ ნეფზეტი“ საერთაშორისო კომენტარში ხაზს უსვამს, რომ სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის საკითხები. ამასთან დაკავშირებით, ნათქვამია კომენტარში, მოხსენებულია ვიეტნამი და ახლო აღმოსავლეთი, აგრეთვე იმპერიალისტური ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. „მადიარ ნეფზეტი“ ხაზს უსვამს, რომ შეხვედრის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ ვარშავიდან გადაცემულ ცნობაში შეხვედრის შესახებ აღნიშნავს, რომ შეხვედრამ გულწრფელობისა და სრული ერთსულოვნების ძმურ ატმოსფეროში ჩაიარა.

ბერლინი, 16 ივლისი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი გაზეთების ფურცლებზე მთავარი ადგილი აქვს დათმობილი სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების ვარშავის შეხვედრის შესახებ დღეს ბუდაპეშტის ყველა გაზეთში მოთავსებულია პირველ გვერდზე.

„ვარშავის შეხვედრა მიმდინარეობდა ძმურ ატმოსფეროში, ერთსულოვნებისა და მეგობრობის ვითარებაში“, — წერს „ნოიეს დოიჩლანდი“.

„ბერლინერ ცაიტუნგი“ განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა გამოხატეს მისწრაფება შეაკავშირონ ძალები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბერლინელების ბიგზლ-ბანისტაფეტა

ვაშინგტონი, 16 ივლისი. (საკდესი). „სამხრეთში ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა აბერნეთიმ განაცხადა, რომ ლარიბთა ბრძოლა პირდაპირი პოლიტიკური, ეკონომიური ფაზაში შედის.

აქ გამართულ მიტინგზე აბერნეთიმ თქვა, რომ ლარიბები აპირებენ თავიანთი მოთხოვნები წაუყენონ რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიათა ყრილობებს. მაგრამ ამას რომ დავსტერდებით, აღნიშნა მან. ვაპირებთ ლარიბთა ლაშქრობის მონაწილეების მოთხოვნები გავაცნოთ თითოეულ საარჩევნო ოლქს. აბერნეთიმ ხაზი გაუსვა, რომ არჩევნებში ლარიბები ხმას მისცემენ კონგრესის იმ წევრთა წინააღმდეგ, რომლებიც არაფრად აგდებენ ლარიბ და უუფლებო ამერიკელთა საჭიროებებს.

სოლიდარობენ ბერძენ დემოკრატებს

ლონდონი, 16 ივლისი. (საკდესი). ინგლისის პარლამენტში შეიქმნა „საბერძნეთის დემოკრატიის მომხრეთა ჯგუფი“. ჯგუფის წევრები არიან თვითა პალატის დეპუტატები, ლეიბორისტები.

ჯგუფი კამპანიას მოაწყობს კონსტიტუციური მთავრობის აღდგენისათვის და მხარს დაუჭერს საბერძნეთის დემოკრატიისათვის მებრძოლ ძალებს. ორგანიზაციის წევრები აპირებენ უახლოეს დროში შეხვდნენ ათენის რეჟიმისადმი ოპოზიციის წარმომადგენლებს, მათ შორის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ა. პაპანდრეუს.

თურქების პროტესტი

სტამბოლი, 16 ივლისი. (საკდესის კორ.). „გაეთრიეთ აქედან!“, „ძირს ნატო“, „ამერიკაში არაფერი აღარ დარჩა ადამიანური“. — ასეთ წარწერებს ნახავთ სტამბოლის ქუჩების ქვაფენილებზე ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის ხომალდების ჩამოსვლის წინაალმდეგ პროტესტის ნიშნად.

სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს. მათ თურქეთის ალმები დაუშვეს „დოლმაბახჩის“ ნავმისადგომზე, სადაც ამერიკის ხომალდები გაჩერდნენ. „ჩვენ არ გვჯერა, რომ თურქეთი მთლიანად დამოუკიდებელი იყოს, ამიტომ დიდუშვთ ალმები“, — განაცხადა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარემ ჰარუნ ყარადენიზმა.

სტუდენტებმა მოსახლეობას მოუწოდეს იბრძოლოს თურქეთიდან ამერიკელთა განდევნისათვის, თურქეთის ნავსადგურებში ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის — „ყველაზე დიდი კოლონიალისტური სახელმწიფოს ამ დამკვრელი ძალის“ ხომალდების შემოსვლის წინაალმდეგ.

ქალაქის მცხოვრებთა ჯგუფსწყრომისაგან ამერიკელ მეზღვაურთა დასაცავად სტამბოლში პატრულობენ პოლიციასა და ჟანდარმერიის გაძლიერებული რაზმები. გაძლიერეულად იცავენ ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურ საკონსულოს, „დოლმაბახჩის“ ნავმისადგომს.

მხარს უჭერენ ავგრესორს

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). ისრაელი ცდილობს შეიძინოს ახალი სახეობის იარაღი, რათა განამტკიცოს დაპყრობილი არაბული ტერიტორიების ოკუპაცია. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლევი ეშკოლმა, რომელიც გამოვიდა მონრეალის (კანადა) ებრაელთა თემის წარმომადგენელთა დელეგაციის წინაშე, განაცხადა, რომ ისრაელს სჭირდება ამერიკის „ფანტომის“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავები და განზრახული აქვს შეიძინოს 100 ასეთი თვითმფრინავი. ამას იერუსალიმიდან იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგანგებო კორესპონდენტი. ეშკოლმა თქვა, 1968 წლის იანვარში ჯონსონთან მოლაპარაკების დროს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი შეპირდა განეხილა საკითხი ტელავივისთვის ამ თვითმფრინავების მიმდინარე წლის მოწოდების შესახებ.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას, ეშკოლმა განაცხადა, ისრაელს თუ „სათრთხე“ შეექმნა, „ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტი დაუყოვნებლივ ჩაერევაო“. ამასთან პრემიერ-მინისტრმა დაიმოწმა შეერთებული შტატების გენერალურ საკონსულოს, „დოლმაბახჩის“ ნავმისადგომს.

კომუნისტი

მე-2 გვერდი, ოთხშაბათი.

17 ივლისი, 1968 წ.

ყოველი მხრიდან

რაზე წერს უცხოეთის პრესა

მსოფლიო პრესა ფართოდ აშუქებს სოციალისტური ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრას ვარშავაში. აქვეყნებს რა ოფიციალურ ცნობას შეხვედრის შესახებ, ბევრი გაზეთი ხაზს უსვამს, რომ მისმა მონაწილეებმა გამოთქვეს მტკიცე მისწრაფება კვლავაც ყოველმხრივ განავითარონ ძმური ურთიერთობა და განამტკიცონ სოციალისტური სისტემა, მისი ერთობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ სარედაქციო სტატიის უძღვნის 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის განახლებას. გაზეთის აზრით, კომიტეტის მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს საბჭოთა მთავრობის მიმართულებამ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

ვარშავის პრესა განიხილავს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის თეზისებს პარტიის მომავალი ყრილობისათვის. გაზეთი „ტრიბუნა მაზოვეცკა“ ხაზს უსვამს, რომ „თეზისები ყრილობისათვის აჯამებენ პოლონელი ხალხისა და სახალხო ხელისუფლების მიღწევებს, შეიცავენ მშრომელთა ავანგარდის მოქმედების პროგრამას, პოლონეთის მომავალი გარეთითარების პროგრამას“. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობისათვის მზადებას ახასიათებს მშრომელთა პოლიტიკური და ორგანიზაციული აქტიურობა.

საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობა ვიეტნამის ამბებს. როგორც ბევრი მიმოხილველი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის კლიფორდის გამგზავრება სამხრეთ ვიეტნამში მოწმობს, რომ პენტაგონი ემზადება საომარი მოქმედების გაფართოებისათვის. ყურადღებას უთმობენ ამერიკის თავდაცვის მინისტრის განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების ომ გეგმების გამო, რომ გაძლიეროს საიგონის რეჟიმის მარიონეტული არმია.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ და ამერიკის სხვა გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციამ კვლავ დაბომბა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია.

ტოკიოს „აკაჰატა“ ამბობენს იაპონიის რეაქციული ძალების ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმების ამ გეგმებს, რომ ამერიკის მხედრიონმა გაანგარძოს ოკინავის კუნძულის ოკუპაცია. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს ძალები ფიზიკურად შეეწევიან იაპონელი ხალხის მოთხოვნებს ოკინავის იაპონიისათვის დაბრუნების შესახებ. (საკდესი).

ვაშინგტონ-ტელ-ავივის ღერძი

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). დასასრულს უახლოვდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ჯორჯ ბოლის სამი დღის ვიზიტი ისრაელში. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იერუსალიმიდან იუწყება, ჯორჯ ბოლმა ისრაელის პრემიერ-მინისტრს ლევი ეშკოლს გადასცა პრეზიდენტ ჯონსონის პირადი წერილი, აგრეთვე შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს ეგანსა და სხვა ოფიციალურ პირებს.

საკდესის კომენტატორი ი. ტისოვსკი ამასთან დაკავშირებით წერს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის ბოლის ვიზიტი ისრაელში ვაშინგტონისა და ტელ-ავივის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ნიშანია. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი შეეხო ეშკოლისა და ეგანის მოლაპარაკებას ბოლთან და ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს ერთნაირი აზრი აქვს „საერთო მიზნების შესახებ“ ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის მხედრიონის გეგმებში ისრაელს ენიჭება ორად ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინააღმდეგის როლი. დაიწყეს რა აგრესია არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ გასული წლის ივნისში, ისრაელი ექსტრემისტები გასდნენ იორდანიის, სურიისა და ეგვიპტის ტერიტორიებს, ოკუპირეს ეგვიპტეს ტერიტორიაზე ფეხმოკიდებული ადგილი, ანექსიეს ერუსალიმი, ანექსიეს სირიის ტერიტორიის ნაწილი, ანექსიეს ეგვიპტეს

ქართველ არქიტექტორთა ნაკაზრევი

იალ ფის კარიბჭე

წარდგენილია სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო პრემიაზე

ასახელებულ ცნობა მოვიდა საქართველოს არქიტექტორთა კავშირში — უკრაინის ავტოტრანსპორტისა და გზატაცლების სამინისტრომ და ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომმა სსრ კავშირის 1968 წლის სახელმწიფო პრემიაზე წარადგინა იალტის ავტოსატრანსპორტო სადგურის კომპლექსი, რომლის პროექტირებისა და მშენებლობის ხელმძღვანელი, არქიტექტორი გიორგი ჩახავა, ხოლო პროექტის თანაავტორები — არქიტექტორები ზ. ჯალადანია და ო. ნახუცრიშვილი, პროექტი შესრულდა ავტოსაგზაო პროექტირების საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

ამ ფრაზენელოვან მოვლენასთან დაკავშირებით საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების არქიტექტურის სექციამ საზოგადოების შენობაში შეხვედრა მოუწყვეს იალტის ავტოსატრანსპორტო კომპლექსის ავტორებს.

შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა არქიტექტორებმა ნ. ჯამბერიძემ, ლ. ფესხიშვილმა, ნ. მგალობლიშვილმა, ინჟინრებმა ნ. სლოვინსკიმ, ლ. ჩიჩანიძემ, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ზ. ლეონავამ ნაღალი შეფასება მისცეს ავტოსატრანსპორტო სადგურის კომპლექსს.

1966 წლის დასასრულს იალტაში დამთავრდა ავტოგაგზლისა და ავტოსატრანსპორტო გასაყარის კომპლექსის მშენებლობა. იგი გაწყვეტულია სიმფეროპოლ-სევასტოპოლის გზის იალტის შესასვლელთან და წარმოადგენს თვალსაჩინო სახმელეთო ჭიშკარს ზღვისაკენ.

ჩვენი სამშობლოს ამ შესანიშნავ საკურორტო ქალაქში წლის ყოველ დროს უთვალავი ხალხი მიეშურება სევასტოპოლიდან, სიმფეროპოლიდან. მოდიან ავტობუსებით, ტაქსებით, მსუბუქი მანქანებით. ამავე დროს თვით ქალაქ იალტის ტრანსპორტი ხვდება კურორტისაკენ მიმავალთ. ავტომანქანათა ეს შესახვედრი ადგილი კი მეტად გადატვირთული იყო, რაც ხშირად ავარიებსაც იწვევდა. ავტოსატრანსპორტო სადგურის ახალმა კომპლექსმა მთლიანად უზრუნველყო მოძრაობის სრული უსაფრთხოება ყირიმის ამ რთულ სატრანსპორტო კვანძში.

იალტის ავტოსადგურის კომპლექსის პროექტირებისას გარკვეულ სირთულეს ქმნიდა შერჩეული ადგილის რელიეფი, მთები, მდინარე ბისტრაია და მისი დაფერდებული ნაპირები, აგრეთვე იალტის კურორტის თავისებურება. და აი, პროექტის ავტორებმა შექმნეს ავტოსატრანსპორტო კომპლექსის ისეთი ორიგინალური პროექტი, რომელიც მთლიანად შეეხამა გარემო პირობებს და, როგორც არქიტექტორები იტყვიან ხოლმე, „არგად „ჩაიწერა“ ბუნებაში. ამავე დროს კომპლექსი სავსებით აკმაყოფილებს ქალაქმშენებლობის არქიტექტურულ მოთხოვნებს.

ორგანულ მთლიანობაში შერწყმული ავტოვაგზლის შენობა, საგარეუბნო მიმოსვლის პავილიონი, რომელიც უსაფრთხოებისათვის მიწისქვეშა გადასასვლელით არის დაკავშირებული ვაგზლის შენობასთან, მგზავრთა ჩასასხდომი ბაქნები, ავტოსატრანსპორტო გასაყარი და ორი პარკი ქმნიან ერთ მთლიან კომპლექსს, რომელიც 20 ჰექტარ ფართობზეა გადაჭიმული.

კომპლექსის ყველა ელემენტი შესანიშნავად არის შერწყმული და შეხამებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებთან. მთის მდინარე ბისტრაია შმენებლობის დასწყისში ერთგვარ დაბრკოლებას უქმნიდა პროექტის ავტორებს, მაგრამ კომპლექსში მისი გამოყენების ორიგინალურმა ჩახაფიქრმა, პირიქით, უფრო მიმზიდველი გახადა ნაგებობა, ხოლო მშენებლობა — ეკონომიური. საქმე ის არის, რომ მდინარე შენობაში გატარეს პირველი სართულის დონეზე და ამით შენობისათვის საჭირო არქიტექტურულ კომპონენტად აქციეს. რელიეფის ზედაპირული დონის მკვეთრმა განსხვავებულობამ ავტორებს საშუალება მისცა გადაეწყვიტათ ავტოვაგზლის დიდი გამტარიანობა. აქ დღეღამეში საშუალოდ გადის 500-ზე მეტი ავტომანქანა.

მთლიანად შენობა რკინაბეტონის ანაყრები კონსტრუქციით არის ნაგები. სამხრეთით, ზღვის მხარეს შუშის კედლები დფარუნი უკანასკნელი ფოლადის დარაბებით, რითაც სართულების დარბაზები დაცულია მზის მცხუნვარე სხივებისაგან. დარაბები ავტომატურად იღება და იხურება ადამიანის დაუხმარებლად მზის სხივების მოძრაობასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ დარაბების ავტომატიზაციის პრინციპი შეიმუშავეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკის, რადიოტექნიკის და ტელემექანიკის ინსტიტუტის მუშაკებმა ვ. ბიჭინაძემ და ო. ჩარკვიანმა.

შენობის პირველ სართულზე მოთავსებულია რესტორანი „ჯალიტა“, საბილეთო სალაროები, ბარის შესასახი, ცნობათა ბიურო, სუვენირების მაღაზია. მეორე სართული ეთმობა სათადარიგო საბილეთო სალაროებს, ფოტოტელეგრაფს, სადისპეტჩეროს, რომელიც მთლიანად ავტომატიზებულია. აქ დადგმულია ავტომატიკა და ტელემექანიკის რთული აპარატურა. შენობის მესამე სართულზეა მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი, დედათა და ბავშვთა ოთახი. მეოთხე სართული უჭირავს კომფორტაბელურ სასტუმროს, რომელიც გათვალისწინებულია 70 კაცისათვის.

— ცალკე უნდა აღინიშნოს შენობის გაფორმება, — „ვეთუნია საუბარში არქიტექტორმა გ. ჩახავამ. — ავტოვაგზლის ინტერიერების გაფორმებაში მოსაწყლეობას ღებულობენ ჩვენი რესპუბლიკის ნიჭიერი მხატვრები ა. გორგაძე, გ. ტაბუმიძე, ზ. წერეთელი, ო. ქოჩაკაძე, ა. სლოვინსკი, რ. ჩიკვაიძე. მათ მიერ შესრულებული ფერწერული და ქედური ნამუშევრებით დამშვენებულია რესტორანი „ჯალიტა“, დედათა და ბავშვთა მოსაცდელი ოთახი.

არქიტექტურული ნამუშევრის შექმნისათვის მარტო პროექტის ჩაფიქრება როდია საკმარისი. ამიტომ მშენებლობას ადგილზე ხელმძღვანელობდა გ. ჩახავა. ის ეხმარებოდა მშენებლებს ყველა დეტალი გაეკეთებინათ ისე, როგორც ეს პროექტით იყო გათვალისწინებული. იალტის ავტოსადგური ამენებულია შესრულების უმაღლესი ხარისხით. სწორედ ამან განაპირობა ავტორთა ჯგუფთან ერთად სახელმწიფო პრემიაზე „იალტსპეცმშენის“ მმართველის კ. რისენკოს წარდგენაც.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: იალტის ავტოვაგზლის შენობის ხედი.



ნიზამის თანამედროვეთა გასტროლები

დამთავრდა კიროვაბადის ჯ. ჯაბარლის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლები ჩვენს ქალაქში. მომთხოვნმა თბილისელმა მაყურებელმა ერთ კვირაში ნახა რამდენიმე შესანიშნავი დადგმა, რომელთა შორის იყო სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოებები. ერთი სპექტაკლი მოგვითხრობდა აზერბაიჯანელი ხალხის გმირულ წარსულზე, მეორე — თანამედროვე ცხოვრებაზე — ხაზეთა სინამდვილეზე.

სტუმრებმა თვიანთი გასტროლები დაიწყეს სამედ ვურლუნის დრამა „ვაგიფთ“, რომელიც მიძღვნილია XVIII საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტის, სახელმწიფო მოღვაწის მ. პ. ვაგიფისადმი. ამ სპექტაკლში მეგობრობის მოტივებს დიდი ადგილი უჭირავს: ამიერკავკასიის ხალხები — აზერბაიჯანელები, ქართველები და სომხები ერთად იბრძვიან საერთო მტრის — მამადან შაჰ აყაჯარის წინააღმდეგ. ქართველი შალიკო, სომეხი არშაკი, ელდარის რაზმში იბრძვიან მტრების — უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

თეატრის კოლექტივის შეცდინებამ თავისი შედეგი გამოიღო: „ვაგიფი“ სცენაზე გაისმის არა მარტო როგორც ისტორიული, არამედ აგრეთვე როგორც თანამედროვე ნაწარმოები.

„თოთა რუსთაველი თავისი პოემით სტუმრად ეწვია ნიზამი განჯელს სამშობლოს“, — წარმოთქვამს სპექტაკლის წამყვანი. ასე იწყება სპექტაკლი — ლექსად დაწერილი პიესა „ტარიელი“, რომელიც ახალგაზრდა აზერბაიჯანელ პოეტ მ. ნასიროვს უყვია ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველზე შეუქმნია.

ტარიელის როლს ასრულებდა მ. ბალაევი, ხოლო ნესტან-დარეჯანის როლს ა. სარქარლი. ეტყობა, მათ კარგად უმუშავნიათ როლებზე. ამ აზრს ადასტურებს მაყურებელთა ხშირი ტაში.

ეს სპექტაკლი შეიძლება თეატრის დიდ შემოქმედებად წარმატებად ჩაითვალოს. ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს დ. თავაძეს.

„მეჰსეთი განჯევი“ ერთ-ერთი შესანიშნავი სპექტაკლია, რომელიც მიძღვნილია XII საუკუნის ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტისადმი, ნიზამის თანამედროვე ქალისადმი. ლექსად დაწერილი პიესის ავტორია ახალგაზრდა პოეტი კ. აგაევა.

ამ სპექტაკლში დიდი ქების ღირსი არიან აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი რ. ვეისალოვა (მეჰსეთი განჯევი), აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტი ა. აბასოვი (ამირ ამშედი), აზერბაიჯანის სახალხო არტისტი მ. ბურჯალიევი (ფერვერ ბაბა) და სხვ.

სპექტაკლი „უშენოდ“, რომელიც დაწერილია შ. ყურბანოვის მიერ, გვიზიდავს თემის აქტუალობით. ნაწარმოების გმირები ჩვენი თანამედროვეები არიან, ის დიდი მორალურ-ეთიკური პრობლემები, რომლებსაც ისინი დღეს თავიანთთვის წყვეტენ, დიდად აღელვებს მაყურებელსაც.

კიროვაბადის თეატრის გასტროლებმა თბილისში წარმატებით ჩაიარა.

ჯამილ ველიევი.

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „მეჰსეთი განჯევი“. როლებში: მეჰსეთი — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი რ. ვეისალოვა, ილისაი — მსახიობი დ. იოლჩიევი.

ფოტო ა. კაკაკასიძისა.

„პოლგის“ ომგება თუ გინდათ

ფულისა და ნივთების სრულიად საკავშირო ლატარია „ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი“

სრულიად საკავშირო ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტმა გადაწყვიტეს 1968 წლის მეორე ნახევარში მოაწყონ ფულისა და ნივთების სრულიად საკავშირო ლატარია „ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალი“. გამოვა 50 მილიონი მანეთის ლატარიის ბილეთები. აქედან 25 მილიონ მანეთს მოსახლეობა მიიღებს ნივთებისა და ფულადი მოგების სახით. მოგებათა შორის არის 2.100 ავტომობილი „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, „ზაპოროჟეცი“, 1.400 სხვადასხვა მარკის მოტოციკლი, 3.700 მოტოროლერი და მოპედი, ბევრი ველოსიპედი, კინო-ფოტოაპარატურა, ტურისტული აღჭურვილობა, კულტურული და სპორტული ინვენტარი, ტელევიზორი, ბიუროს ახალგაზრდული ტურისტული ბანაკის „თანამგზავრის“ საგაზური. სულ გათამაშდება 8 მილიონ 700 ათასი ნივთისა და ფულადი მოგება. ლატარიის ბილეთები ეღირება 50 კაპიკი.

ლატარიის შედეგად მიღებული შემოსავალი მოხმარდება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.

მოგებათა ტირაჟი გამართება მოსკოვში 1969 წლის 15 იანვარს.

ჩიყვი და თირეოტოქსიკოზი

ჩიყვი წინათ მეტად გავრცელებული დაავადება იყო, მაგრამ მოსახლეობის სანიტარიულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და მასობრივი გამოკვლევების ხანიერგულ-პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად ჩვენში საგრძნობლად შემცირდა დაავადების კერები და საერთოდ ჩიყვიანობა.

ჩიყვი ავადდებიან როგორც ბავშვები, ისე ახალგაზრდა და ხანშიშესული ადამიანები, ათჯერ უფრო ხშირად ქალი, ვიდრე მამაკაცი. სამაგიეროდ მამაკაცებში დაავადება და მისი გართულება გაცილებით უფრო მძიმე ხასიათს იღებს.

გავრცელების მიხედვით ჩიყვის ორ ფორმას არჩევენ. პირველი — ენდემიური ჩიყვი, რომელიც უმთავრესად მთიანი ზონის მცხოვრებთა შორის გავრცელდება, და მისი განვითარების ძირითადი მიზეზი გარემოსა და საკვებში იოდის ნაკლებობაა; მეორე — სპორადული ფორმის ჩიყვი გავრცელდება დაბლობ ადგილებში მცხოვრებთა შორის, თუმცა მისით მეტად მცირე პროცენტი ავადდება.

ნორმალურად მდებარე ფარისებრი ჯირკვლის დროს ჩიყვი კარგად ჩანს კისრის წინა ზედაპირზე. იგი საღი კანით არის დაფარული და ყლაპვისას ვერტიკალურად მოძრაობს. ზოგჯერ კი შესაძლოა იგი განვითარდეს მკერდის ძვლის უკან, ენის ძირში, ან სხვა ადგილას და თვალით შეუმჩნეველი იყოს. ამიტომ დაავადების კლინიკური გამოვლინება დამოკიდებულია გადიდებული ჯირკვლის ფუნქციაზე, სიდიდეზე, მდებარეობაზე, კისრის ორგანოებთან ურთიერთობაზე. თუ ჯირკვლის ფუნქცია ძლიერ მომატებული ან დაკლებული არ არის, საშუალო და ზოგჯერ დიდი ჩიყვიც კი, გარდა კოსმეტიკური უხერხულობისა, არაგვითარ მოვლენებს არ იწვევს და სიცოცხლისათვის საშიშროებას არ წარმოადგენს. სხვა შემთხვევებში ადგილი აქვს ყლაპვის ან სუნთქვის გაძნელებას, ჰაერის უკმარობას, ტანის მუშაობის შეფერხებას და მრავალ სხვა კლინიკურ მოვლენას. არის ანთების და კიბოს განვითარების შემთხვევებიც. ჩიყვიანები ხშირად თირეოტოქსიკოზით ავადდებიან, ესე იგი ფარისებრი ჯირკვლის არასრულფასოვანი ჰორმონებით იწამლებიან.

ჩიყვით დაავადებული, მით უმეტეს თირეოტოქსიკოზით გართულების შემთხვევებში, ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს. ახლოდ დროული და სწორი მკურნალობა უზრუნველყოფს მის განკურნებას.

დღისათვის გაურთულებელი ჩიყვის დროს ვიყენებთ როგორც კონსერვატულ, ისე ოპერატიულ მკურნალობას.

კონსერვატული მკურნალობისას უნდა გამოვიყენოთ იოდის მიკროდოზები და საჭირო შემთხვევაში ნეიროტროპული სამუალებები. უნდა გვასწავლოს მკურნალობა. აქ მკურნალობის კარგი ეფექტი დამოკიდებულია კომპლექსურ მკურნალობაზე და იმაზე, თუ როგორ დაიცავს ავადმყოფი ექიმის მიერ დანიშნულ მკურნალობის რეჟიმს.

მთელ რიგ შემთხვევებში სწრაფ და კარგ შედეგს იძლევა იოდის მიკროდოზები, მაგრამ აქაც უნდა გავითვალისწინოთ ზემოაღნიშნული გართულებები. კარგია იოდისა, მკურნალობისათვის მიმართავენ სიმპატომატურ საშუალებებს: ბრომს, ლუმინალს, ნემბუტალს

ჩემპიონი მესხრეჯერ

კუნაულ სიცილიაზე კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატი ამოიწურა.

ჯერ კიდევ წინასწარმა შეხვედრებმა ცხადყო, რომ საბჭოთა ნაკრებს, რომელიც ჩვენი კონტინენტის რვაგზის ჩემპიონია, ამჯერადაც ბადალი არ ჰყავდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მათ წინასწარი შეხვედრები დაუმარცხებლად განვლეს და ფინალშიც ყველა ძატი მოიგეს.

უკანასკნელი თამაში საბჭოთა კალათბურთელებს ჰქონდათ პოლონეთის ნაკრებთან, დაამარცხეს მეტოქე 92:55 და მეცხრეჯერ გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

ქვეჯგუფები და ლიდერები

„ა“ კლასის მეორე ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივები ოთხ ქვეჯგუფში განაგრძობენ საკავშირო ჩემპიონატს. პირველი წრის ფინიშამდე გუნდებს ორ-ორი ტური დარჩათ. როგორია ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა ქვეჯგუფებში?

პირველ ქვეჯგუფში, სადაც პირველობას ერთმანეთს 21 კოლექტივი ეკიდება, წინ არის კიევის არმიის ხასპორტო კლუბის გუნდი, რომელმაც უკანასკნელი შეხვედრა ლენინგრადის „დინამოსთან“ ფრედ (0:0) დაამთავრა და 18 თამაშიდან 25 ქულა შეაგროვა. მომდევნო ადგილებზე არიან ლვოვის სკა და კალუგის „ლოკომოტივი“ — 24-24 ქულა.

მეორე ქვეჯგუფში დაწინაურდა ნიკოლაევის „სუდოსტრო

ცნობათა გვერდი

აირჩიე, სად გსურს ისწავლო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილებაზე

მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

I. ფილოლოგიის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) რუსული ენა, ლიტერატურა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), ბ) ქართული ენა, ლიტერატურა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

2. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) მათემატიკა, ბ) ფიზიკა.

3. ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) ბიოლოგია-ქიმია, ბ) გეოგრაფია-ბიოლოგია, გ) ფიზიკური აღზრდა.

4. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი — სპეციალობა — ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია.

5. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი (სპეციალობა იგივე).

ინსტიტუტში დღის სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის სსრ კავშირის ორიენ სპენის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის, ქართული ენის ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*), სსრკ ისტორია (ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი)*.

2. რუსული ენის, ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*), სსრკ ისტორია (ზეპირი)*, უცხო ენა (ზეპირი)*.

3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*), სსრკ ისტორია (ზეპირი)*, მათემატიკა (ზეპირი)*.

4. მათემატიკის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა*, ზეპირი*), ფიზიკა (ზეპირი*), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

5. ფიზიკის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა*, ზეპირი*), ფიზიკა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

6. გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე: გეოგრაფია (ზეპირი)*, ქიმია (ზეპირი),* ბიოლოგია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

7. ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე: ქიმია (ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ბიოლოგია (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

8. ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე: ფიზიკური მომზადება*, ქიმია (ზეპირი)*, ფიზიკა (ზეპირი)*, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

რექტორი ან, მისი დავალებით, პროორექტორები, ფაკულტეტის დეკანები, მიმღები კომისიის წევრები გიესაუბრებიან თვითეულ აბიტურიენტს. გასაუბრების დროს შემოწმდება, რამდენად შეესაბამება აბიტურიენტის საერთო მომზადება მის მიერ არჩეულ სპეციალობას.

შენიშვნა: 1. გარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

2. ოქროს (ვერცხლის) medlit საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ:

ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის, ქართული ენის, ლიტერატურის და უცხო ენის და დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენის, ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობაზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკის სპეციალობაზე — ფიზიკა (ზეპირი), ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე — ფიზიკა (ზეპირი), გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე — გეოგრაფია (ზეპირი), ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე — ქიმია (ზეპირი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 3. ოთხი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ. დამოწმებული); 4. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის ბიუროს მდივნის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის პედსაბჭოსგან და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას; საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — სათანადო სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელების მიერ გაცემულ დახასიათებას; 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

პასპორტსა და სამხედრო ბილეთს (ან მიწერის მოწმობას) შემომსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 იულისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირადღეებისა, 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები — 1 აგვისტოდან. კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 20-დან 30 იულისამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (ციოფის ქ. № 55).

რედაქტორატი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის მე-2 სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის I კურსზე (ქართული სექტორი), II კურსზე — ქართული და რუსული სექტორი

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე (ქართული სექტორი) med-დის სპეციალობით მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1) **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), 2) **მათემატიკა** (ზეპირი).

შენიშვნა: მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც არასრული საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვდნენ ქების სიგელით (ფრიადოსნები).

II კურსზე med-დის სპეციალობით მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს ქართულ სექტორზე შემდეგ საგნებში: 1) **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა), 2) **ქიმია** (ზეპირი).

რუსულ სექტორზე: 1) **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა), 2) **ქიმია** (ზეპირი).

შენიშვნა: მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოებული არიან ოქროს ან ვერცხლის medლით.

სწავლის ხანგრძლივობა I კურსზე 2 წელი და ათი თვე, ხოლო II კურსზე — 1 წელი და ათი თვე.

სასწავლებელში შემომსვლელს პირადად შემოაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია**, 3) **3 ფოტოსურათი** 3X4 სმ., 4. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ** (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 5. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას **დაბადების მოწმობა** ან **პასპორტი**. 6. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** ან **მოწმობა** (ბოლო **5 წლის სტაჟი**, შემოწმებული დაწესებულების მიერ.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც **წარმატებით ჩაბარებენ** მისაღებ გამოცდებს და აქვთ **პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 2 წლის სტაჟი**, შემოწმებული დაწესებულების მიერ.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც **წარმატებით ჩაბარებენ** მისაღებ გამოცდებს და აქვთ **პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი სპეციალობის მიხედვით.** დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღებ გამოცდებზე მიღებული შეფასება, ისე საშუალო არითმეტიკული განათლების დოკუმენტში ნაჩვენები საერთო ნიშნებიდან.

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებულ არიან პირველი სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

განცხადებები მიიღება **31 იულისამდე, 12 საათი დან 14 საათამდე.**

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სასწავლებლის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7, მეორე სამედიცინო სასწავლებელი. ტელეფონი 99-81-47.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი

აცხადებს 1968-1969 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას სატყეო-სამეურნეო და ნადირთმცოდნეობა-ნადირთმოუფლებების სპეციალობებზე პირველ და მეორე კურსებზე

სატყეო-სამეურნეო და ნადირთმცოდნეობა-ნადირთმოუფლებების პირველ კურსებზე მიიღებიან 8-კლასდამთავრებულნი, ხოლო სატყეო-სამეურნეო სპეციალობის **მეორე კურსზე** საშუალო **სკოლადამთავრებულნი.**

სწავლის ხანგრძლივობა **პირველ კურსზე** ჩარიცხულთათვის **3 წელი** და **6 თვე, მეორე კურსზე** ჩარიცხულთათვის — **2 წელი და 6 თვე.**

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

პირველი კურსისათვის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე:

1. **ქართული ენა** (წერა-კარნახით), 2. **მათემატიკა** (ზეპირი);

მეორე კურსისათვის 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე — 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **ქიმია** (ზეპირი).

ჩარიცხვა 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

განცხადებების მიღება წარმოებს პირველ კურსზე შემსვლელთათვის 31 იულისამდე ჩათვლით, ხოლო მეორე კურსზე შემსვლელთათვის — 15 აგვისტომდე, განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე და დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. **განათლების დოკუმენტი** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია**, 3. **სამედიცინო ცნობა** ფორმა № 286, 4. **3 ცალი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ).

ტექნიკუმში შემსვლელნი პირადად აგიგენენ პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას. ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით (არსებული წესის მიხედვით).

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის დირექციაში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, გარდა კვირადღისა.

მისამართი: ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 86, ტელეფონი 2-43.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-1969 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე I და II კურსებზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს **ფარმაცევტებს** და **მედიცინის დის** სპეციალობით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში:

დასწრებული განყოფილება — ფარმაცევტის სპეციალობით.

I კურსზე არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი:

ა) **ქართული სექტორი:** 1. **ქართული ენა** (წერა), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

ბ) **რუსული სექტორი:** 1. **რუსული ენა** (წერა-კარნახი), 2. **მათემატიკა** (ზეპირი).

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული **ფრიადოსნები,** რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, **სასწავლებელში ჩარიცხებიან უგამოცდოდ.**

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი და ექვსი თვე.

II კურსზე მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) **ქართული სექტორი** — 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **ქიმია** (ზეპირი),

ბ) **რუსული სექტორი** — 1. **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **ქიმია.** (ზეპირი).

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული **მედალოსნები სასწავლებელში ჩარიცხებიან უგამოცდოდ.**

სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი და ექვსი თვეა.

სამამის დასწრებული განყოფილება:

II კურსზე — ქართული სექტორი (მედდის სპეციალობით) მიიღებიან მოქალაქენი (ასაკის განუსაზღვრელად), რომელთაც დამთავრებული აქვთ სრული საშუალო სკოლა და იმავდროულად მუშაობენ რომელიმე სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებაში და აქვთ **პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი სპეციალობის მიხედვით.** დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღებ გამოცდებზე მიღებული შეფასება, ისე საშუალო არითმეტიკული განათლების დოკუმენტში ნაჩვენები საერთო ნიშნებიდან.

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებულ არიან პირველი სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

განცხადებები მიიღება **31 იულისამდე, 12 საათი დან 14 საათამდე.**

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სასწავლებლის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7, მეორე სამედიცინო სასწავლებელი. ტელეფონი 99-81-47.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის პირველი სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის ქართულ და რუსულ სექტორებზე I და II კურსებზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს **ფარმაცევტსა** და **მედიცინის დის** სპეციალობით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში:

დასწრებული განყოფილება — ფარმაცევტის სპეციალობით.

I კურსზე არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი:

ა) **ქართული სექტორი:** 1. **ქართული ენა** (წერა), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

ბ) **რუსული სექტორი:** 1. **რუსული ენა** (წერა-კარნახი), 2. **მათემატიკა** (ზეპირი).

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული **ფრიადოსნები,** რომლებიც დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, **სასწავლებელში ჩარიცხებიან უგამოცდოდ.**

სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი და ექვსი თვეა.

II კურსზე მიიღებიან სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) **ქართული სექტორი** — 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **ქიმია** (ზეპირი),

ბ) **რუსული სექტორი** — 1. **რუსული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **ქიმია.** (ზეპირი).

ლენინგრადის ელექტროტექნიკურ სამედიცინო ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

აღნიშნული ტექნიკუმის კურსდამთავრებული კადრები გამოყენებული იქნებიან სამუშაოდ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. **განათლების სიბუთი** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია**, 3. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ** (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 4. **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუდოდ 3X4 სმ. შემოწმებული, 5. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (იმ პირთათვის რომლებსაც აქვთ სამედიცინო ან მონათესავე დაწესებულებებში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ, 6. შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს **დაბადების მოწმობა** ან **პასპორტი, სამხედრო ბილეთი** (სამხედრო ვალდებულების) და **მიწერის მოწმობა** (წვევამდელებმა).

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიღებულ იქნება როგორც მისაღები გამოცდების შედეგები, ისე განათლების სიბუთში ნაჩვენები ნიშნებიანი საშუალო არითმეტიკული.

კონკურსგარეშე პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და აქვთ სამედიცინო მონათესავე დაწესებულებებში მუშობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, აგრეთვე საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულნი.

დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის წესით. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ სასწავლებელში მუშაობის სტაჟით ჩარიცხულნი ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი, წინაადმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის მიხედვით. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს;

განცხადებების მიღება იწარმოებს 31 იულისამდე დღის 10 საათიდან 12 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მისამართი: ქ. თბილისი, დგებუაძის ქ. № 8, ტელეფონი 95-97-97.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

ქუთაისის სამთო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-1969 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: (ქართული სექტორი)

დღის სწავლების განყოფილება

სამთო საქმის სპეციალობები

I-ლი კურსი

1. ნავთისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის, 2. სამთო ელექტრომექანიკური.

მე-3 კურსი

1. ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავება, 2. მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება.

დასწრებული სწავლების განყოფილება

მე-3 კურსი

1. ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავება, 2. მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება,

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, ხოლო დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ასაკის განუსაზღვრელად.

შენიშვნა: ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავების, მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავების და სამთო ელექტრომექანიკურ სპეციალობებზე მიიღებიან ვაჟები, რომელთაც 1968 წლის პირველ სექტემბრისათვის 16 წელი შეუსრულდათ.

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართული ენა** (კარნახი წერა), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

მესამე კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1968 წლის პირველი აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადებების მიღება და დაწვრილებითი ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდე.

მისამართი: ქალაქი ქუთაისი, 1905 **წლის** რევოლუციის **ქუჩა, № 2.** ტელეფონები: 49-72, 54-73, 50-74.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1968-1969 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ (ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘ)

ᲓᲦᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲛᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘ

I-ᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ

1. ნავთისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის, 2. სამთო ელექტრომექანიკური.

მე-3 ᲙᲣᲠᲡᲘ

1. ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავება, 2. მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება

ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲘ

I-ᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔ-3 ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. სამშენებლო დეტალებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოება. 3. შენობათა სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა.

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

მე-3 ᲙᲣᲠᲡᲘ

1. ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავება, 2. მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება,

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან 30 წლამდე ასაკის მოქალაქენი, ხოლო დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე ასაკის განუსაზღვრელად.

შენიშვნა: ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავების, მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავების და სამთო ელექტრომექანიკურ სპეციალობებზე მიიღებიან ვაჟები, რომელთაც 1968 წლის პირველ სექტემბრისათვის 16 წელი შეუსრულდათ.

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართული ენა** (კარნახი წერა), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

მესამე კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. **ქართული ენა და ლიტერატურა** (წერა-თხზულება), 2. **მათემატიკა** (ზეპირი),

ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲠᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲐᲜ:

ა) **არასრული საშუალო სკოლადამთავრებულნი ქების სიგელით** (ფრიადოსნები) **და საშუალო სკოლადამთავრებულები — მედლით.**

ბ) **შეიარაღებული ძალებიდან, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებიდან და ნაწილებიდან დემობილიზებული ოფიცრები და ზემსახურები.**

ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲑᲐᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲠᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲐᲜ:

ა) **სამამულო ომის მონაწილენი,** ბ) **წარმოებიდან მოვლინებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.**

გ) **საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი,** დ) **ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.**

დარჩენილ ადგილებზე ჩაირიცხებიან დანარჩენი შემსვლელები კონკურსის მიხედვით. კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება როგორც გამოცდების, ისე სკოლის დამთავრების მოწმობებში ნაჩვენები ნიშნები.

ტექნიკუმის დღის განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან ტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით არსებული წესის მიხედვით.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1968 წლის 31 იულისამდე შემდეგი საბუთების დართვით: 1. **განათლების მოწმობა** (ატესტატი) —დედანი, 2. **შრომის** (ან სკოლამეურნეო) **წიგნაკიდან ამონაწერი,** დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, 3. **ავტობიოგრაფია**, 4. **ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ** (ფორმა 286), 5. **სამი ფოტოსურათი** (ზომით 3X 4), 6. **პასპორტი** ან **დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი** (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელებისათვის, წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად) დასწრებული სწავლების განყოფილებაზე. 7. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებისას წარმოდგენილ უნდა იქნას მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთების დედანი (დასწრებულ განყოფილებაზე).

მისაღები გამოცდები **იწარმოებს 1968 წლის პირველი აგვისტოდან 20 აგვისტომდე.**

განცხადებების მიღება და დაწვრილებითი ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, **დგებუაძის ქ. № 8,** ტელეფონი 95-97-97.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 31 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲗᲓᲐᲜ 20 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1968-69 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲖᲔ I ᲓᲐ II ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს **ფარმაცევტსა** და **მედიცინის დის** სპეციალობით.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში:

**ᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ —